მათემატიკა ეკონომიკისა და
ბიზნესისათვის 1

განმარტებითი წერილი
დავალებათა შესასრულებლად

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის

დავალებები შედგენილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის „მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის 1“ სილაბუსის შესაბამისად.

დავალებელი შედგენილია სილაბუსში მითითებული შემდეგი სალექციო კურსის მიხედვით:

[1] ა.აპლაკოვი, უ.გოგინავა, თ. ზერეკიძე, შ. ზვიადაძე. ბ. მესაბლიშვილი, რ.მესხია - მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, თსუ, 2021, ელექტრონული ვერსია.

აღნიშნული კურსის სტრუქტურა ასეთია :
ყოველ ლექციაში, მოცემული თემის ირგვლივ გადმოცემულია თეორიული მასალა და მის გასააზრებლ;ად საჭირო მაგალითები. შემდეგ, ბოლო პუნქტად მოცემულია სავარჯიშოები, რომლებიც განკუთვნილია პრაქტიკული მეცადინეობისა და დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

დავალებების სავარჯიშოები აღებული იქნება შესაბამისი ლექციის სწორედ ამ ბოლო პუნქტებიდან. მაგალითად, დავალება 4-ის მე-7 სავარჯიშო ნიშნავს მეოთხე ლექციის ბოლო პუნქტში მოცემულ მეოთხე სავარჯიშოს, ასევე, დავალება 6-ის 3-ბ ნიშნავს მე-6 ლექციის ბოლოში მოცემული მე- 3 ნომრის ბ) სავარჯიშოს. ანალოგიური ნუმერაცია აქვს პასუხებსაც.

ყოველ დავალებაში სავარჯიშოების ნომრები ჩაწერილია ცხრილის სახით. ცხრილში ზოგიერთი ნომერი გამუქებულია. დავალებაში მოყვანილია ასეთნომრიანი სავარჯიშოების ამოხსნა. სტუდენტს ევალება გაეცნოს საჭირო თეორიულ მასალას, გაარჩიოს მოყვანილი ამოხსნები, შემდეგ კი ცხრილში მოცემული დანარჩენი სავარჯიშოები შეასრულოს დამოუკიდებლად.

ყოველი მომდევნო დავალება გულისხმობს წინა მასალის ცოდნას, ამიტომ დავალებები უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად.

დავალებების შესასრულებლად საკმარისია მითითებული [1] წყარო, მაგრამ სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს სილაბუსში მითითებული და სხვა დამხმარე ლიტერატურაც.